„დროების“ რედაქცია— სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქიღაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავს წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ამ ნომერში რვა გვერდია.

## წიგნთა საკითხავები პროვინციებში

თბილისი, ოქტომბრის 16-ს.

სიბრძნე ზესთა სიმაღლე,
ქვე საფუძველი ყოველთა,
„ქეილილა და დამნა“.

ერთმა ევროპიელმა მეცნიერმა სთქვა, რომ თუ გინდათ ხალხის კეთილ-დღეობაზე შეადგინოთ აზრი, შეიტყეთ, რამდენს საპონსა ჰხარჯავს იგი წლით-წლობამდეო.

ეს აზრი ღრმა ჭეშმარიტებას შეადგენს დღესაც და პოლიტიკურს ეკონომიაში არა მცირედი ადგილი უჭირავს ამ მოკლე ფორმულას.

ამ გვარივე თვისებისაა მეორე აზრი რომელიმე ქვეყნის გონებრივის განვითარებისა და ზნეობრივის წარმატების გამოსახატავად. თუ გინდათ, რომ შეიტყოთ, რა მდგომარეობაშია ხალხის გონებრივი განვითარება, მისი სულიერი ძალა, უნდა იცოდეთ რაოდენობა წიგნებისა, რომელიც ხალხსა და საზოგადოებაში მიმოტრიალობს.

მგზავრი რომ რომელსამე ქვეყანაში მივა, უპირველესად იმასა კითხულობს, აქვს ამ ხალხს ხალისი სწავლისა და კითხვისაო, აქვს მწიგნობრობა, ლიტერატურა, ბიბლიოთეკები და მოეპოვება თუ არა დრო-გამოშვებითი გამოცემანიო.

ვაი იმ ქვეყანას და იმ მამულიშვილს, რომელიც იძულებული იქნება აღიაროს როგორც ერთისა, ისე მეორისა და მესამის უქონლობა!

ჩვენ ამ მხრივ ღმერთმა შეგვიბრალა. ჩვენი ხალხი ცნობის-მოყვარეა, ხალისი სწავლისა და წიგნის კითხვისა მის სულის-თვისებასა და გონების მოთხოვნილებას შეადგენს. ამ ხალხს მოეპოვება განვითარებული და შემუშავებული ენა, მწიგნობრობა, ლიტერატურა. ამ უკანასკნელს შეუძლია დაიქადოს და იამაყოს თავის წარმომადგენელთა რამდენიმე სახელით, საყვარელი და ნიჭიერი მწერლით.

ის ერი, რომელსაც შეუმუშავებია თავისი ენა, შეუძენია მწიგნობრობა და გაჰღვიძებია სურვილი და ხალისი სწავლისა და წიგნის კითხვისა, ძალას წარმოადგენს....

ერთხელ ფეხ-ადგმული მწიგნობრობა, თან-და-თან განვითარებაში შედის, ერთხელ ფრთა-შესხმული ხალხის გონების განვითარებისა აღარა ცხრება, ერთხელ გაღვიძებული გემო ცოდნისა და განათლების სიტკბოებასა მუდამ დაკმაყოფილებას ითხოვს.

წიგნების სიმრავლე, ლიტერატურის აღორძინება და გაძლიერება თავისთავადაც ამტკიცებს სწავლასა და ცოდნის შეძენის სურვილს. მაგრამ უფრო თვალით დასანახავს, ნიშანდობლივს საბუთს ჩვენის გონების გამოფხიზლებისას წარმოადგენს, სხვათაშორის, წიგნთ-საკითხავის და ბიბლიოთეკის დაარსება ქ. თელავში. გუშინ-წინდელს ჩვენს გაზეთში დავბეჭდეთ წერილი თელავიდამ, რომელშიაც მოთხრობილია ამბავი ამ გვარის წიგნთ-საკითხავის დაარსებისა და რომელშიაც მოყვანილია აგრეთვე სიტყვა, თქმული ი. როსტომაშვილისაგან «წიგნთ-საკითხავის საზოგადოების» დაარსების თაობაზედ. ჩვენ სრულის თანაგრძნობით ვეგებებით ამ გვარს გონიერულს დაწყობილობას და წრფელის სიხარულით მივულოცავთ თელავს და უფრო თელავის მკვიდრთა განვითარებულს და მოწინავე ნაწილს ამ გვარ მაღალ ინტერესებისათვის ზრუნვასა.

მართლაცა და თვით ფაქტი წერა-კითხვის სურვილისა, ლიტერატურის არსებობისა ჯერ კიდევ საბუთი არ არის, რომ ვიშვებდეთ და ვიხარებდეთ. ყოველსავე საქმეს და მით უფრო ისეთს ნაზს საქმეს, როგორც გონებრივი და სულიერი განვითარების საქმეა-დიდი ზრუნვა და ლოლიაობა ეჭირვება. ფეხ-ადგმულს დაწყობილებას ზრდა და განვითარება უნდა, ზრდა და განვითარება სიღრმითა და სიგანით, მარჯვნივ და მარცხნივ. მცირედ დაწყობილი საქმე უნდა თან-და-თან იზრდებოდეს, ივსებოდეს და როგორც ტურფად, ამაყად გადაშლილი ხის ტოტები იფინება გარშემო, ისე ამ საქმის ტოტები და განყოფილებანი უნდა იფინებოდენ ირგვლივ, გარეშემო. ხე ცოდნისა და სულიერის წარმატებისა, როგორც ხე ცხოვრებისა უნდა დაიფარავდეს და შეივრდომებდეს ყველას განურჩევლად; და რაც უფრო მეტი იქმნება რიცხვი შეფარებულთა და შევრდომილთა, მით უფრო მეტი სიმტკიცე მიეცემა ქვეყანას, მით მეტი სიტკბოება და კეთილ-დღეობა მიენიჭება ერსა და ხალხს. ნათქვამია:

„სულ-გრძელობა საუნჯეა
სიბრძნისა და გონებისა“-ო!

ბიბლიოთეკების დაარსება პროვინციებში—ეს სხივია სინათლისა, ეს სხივია მზისა, რომელიც მოეფინება გარეშემო და გაათბობს ყოველს სულიერს.

რა სურათს წარმოადგენს დღეს ის პროვინციები, ჩვენის ქვეყნის მივარდნილი კუნჭულები, რომელნიც დაშორებულნი არიან გონებრივის წარმატების შუა-გულს, რომელნიც მოკლებულნი არიან წიგნს, საკითხავს, გონებრივს საზრდოს!

ბნელს უდაბნოს, გაციებულს ადგილს, რომელსაც არა ვითარი მაღალი ინტერესი არ ეკარება, არავითარი მაღალი კაცობრიული იდეა არ ამღელვარებს, არ ატკბობს.

ამ გვარ პროვინციებში თავმოყრილი მოწინავე კაცები, თითო-ოროლა ცოდნით გამთბარნი მესვეურნი თვითაც ბნელდებიან, ცივდებიან, ყინულდებიან გარეშემო სიწყვდიადისა და სიცივისაგან. რამდენი ნიჭიერი და გატაცებული თავის ქვეყნის სამსახურის სურვილით გამსჭვალული პირი დაუმარხავს ამ განუჭვრეტელს და განუსაზღვრელს სიბნელესა და სიცივეს! რამდენი კეთილ-შობილური გულის თქმა მოუკლავს და დაუთრგუნავს იმ გარემოებას, რომ მას ველარ მიშველებია წიგნი, ველარ მიშველე-

---

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 16-ს

### ბიბლიოგრაფია.

„ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდგან, შედგენილი თავ. რაფ. ერისთავისაგან. ფასი 2 მანათი“.

—

ჩვენ წინა სძევს ის წიგნი, რომლის სათაურიც ზემოდ მოვიყვანეთ. როდესაც რომელიმე წიგნის დაბეჭდვას მოიწადინებდეს ვინმე, აზრად უთუოდ უნდა ისა ჰქონდეს, რომ წიგნმა საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს; ყოველს თხზულებას, ყოველს ნაწერს, ყოველს წიგნს, რა საგანზედაც უნდა იყოს შიგ ლაპარაკი,—უნდა ჰქონდეს თავისი საგანი...

ეს ფიქრი გვიტრიალებდა თავში, როდესაც ზემო-მოხსენებული ლექსიკონი გადავათვალიერეთ, როდესაც იგი თავიდამ ბოლომდინ გულს მოდგინედ ჩავიკითხეთ და არ ვიცით, როგორა ვსთქვათ ახლა, ღირსია ეს წიგნი თ. რაფიელ ერისთვის სახელისა, თუ არა? თ. რაფიელ ერისთვის წადილი დიაღაც მოსაწონია, რომ ამისთანა ლექსიკონის დაბეჭდვა იკისრა; უფრო კარგადაც გამოვიდოდა დაწყებული საქმე, თუ შემდგენელის მოსაწონი წადილი ისე შესრულებულიყო, რომ მკითხველი საზოგადოებისთვის უფრო მეტი სარგებლობა მოეტანა.

რა აზრით იბეჭდება ქართულს ენაზედ ამისთანა ლექსიკონი? ვგონია, იმ აზრით, რომ ამ წიგნის დახმარებით ჩვენ შეგვეძლოს სხვა ენებზედ დაწერილი თხზულება ჩვენს სამშობლო ენაზედ გადმოვიღოთ, რომ რუსული სიტყვები სხვა-და-სხვა მცენარეებისა, მაგალითად, გადავსცეთ ქართველ საზოგადოებას ქართულის ენითვე, ესე იგი, რომ მოვიყვანოთ მცენარეთ თუ ცხოველთ წოდება ქართულად. რუსულ ენაზედ რომ დაწერილი თხზულება ჰქონდეს ვისმე ბოტანიკურის ანუ ზოოლოგიურის შინაარსისა და თქვენ თ. ერისთვის ლექსიკონის დახმარებით მოისურვოთ რუსული წიგნის გადათარგმნა, ვერაფერს საშუალებას ვერ მოგცემთ თ. ერისთვის წიგნი, იმიტომ რომ, ეს წიგნი იმ საგანსა და დანიშნულებას არ შეესაბამება, რა საგნისა და დანიშნულებისათვისაც არის დაბეჭდილი.

თ. ერისთავს თავის ლექსიკონში მოყვანილი აქვს ქართული სიტყვები, რუსული და ლათინურიც; რუსულ სიტყვებში რომ მოსძებნოთ რაიმე სიტყვა და მერე ქართულში ეძებოთ ამ სიტყვის თარგმანი რომელიმე მცენარის გამოსაცნობად—ტყუილი ჯაფა იქნება, იმიტომ, რომ ვერაფერს ვერ იპოვნით. მაშასადამე, ეს წიგნი არ ვარგებულა იმ საგნისათვის, რისთვისაც უნდა ყოფილიყო სავარგო და გამოსადეგი. აი ამისი მაგალითებიც: მეორე გვერდზე, მე-13-ე ნომერში, თ. ერისთავს უწერია: «ავშანი» და სხვა, რუსულად «бѣлые вѣнички». რუსულ ალფავიტში რომ მოსძებნოთ სიტყვა: „бѣлые вѣнички“, ვერ იპოვნით; ამ მცენარის წოდება ლათინურს ალფავიტშიაც თ. ერისთავს არა აქვს მოყვანილი, თუმცა კი ლათინური წოდება ამ მცენარისა, წიგნის მეორე გვერდზედ მოყვანილია ქართულის სიტყვის „ავშანის“ პირ-და-პირ.

იმავე მეორე გვერდზედ, მე-17-ტე ნომერში უწერია: „აკაკი, ხებარდა, ხეფარდა“—«каркасъ»; რუსულში კი ეს სიტყვა სრულიად არა აქვს. თუმცა კი ამბობს თ. ერისთავი წიგნის წინასიტყვაობაში, რომ ის სიტყვა, ანუ ის წოდება მცენარისა, რომელსაც გვერდით ჯვარი უზის—სწორეა და ნამდვილიაო და რომელსაც რგოლი უზისო, ის სიტყვა კი საეჭვო არისო. სწორედ ამ სიტყვას: „каркасъ“—ჯვარი უზის; მაშასადამე, ნამდვილი ყოფილა და რატომ აღარ ჩაუწერი რუსულში და მარტო ლათინურ დაკმაყოფილებულა. ერისთავს უწ პირველსავე გვერდზე მე-8-ვე ნო ში: «აბუტარატი, მუხამი», და — чемерица, ярможникъ; თინურად უწერია: Helleborus a us Wittst. Hellebrine latifolia და სხვ. ვეძებეთ რუსულს ალფავი ში სიტყვა იარმოჟნიკ და, რასაკვირველია, ვერ ვიპოვეთ; ვეძებეთ სიტ ა чемерица და ვნახეთ, რომ ამ ცენარის წოდება 1140 ნომრით ქვს მოყვანილი; ვკითხულობთ, რა სწერია ამ ნომერ-

ბია ენერგიული მწერალი, თავ-გამოდებული ღაღადება ქვეყნისთვის გულ-შემატკივარის მამულის-შვილისა, გრძნობით აღვსილის პოეტისა; რამდენი საშუალო ძალით აღჭურვილი მოღვაწე პროვინციალურის ქალაქისა და დაბისა დაცემულა უმეცრებასთან ბრძოლაში მარტო იმიტომ, რომ მას ერთად-ერთი მეგობარი—წიგნიც—არა ჰქონია ხელში.

თელავის დაწყობილობა შეამსუბუქებს მძიმე ხვედრს პროვინციის მოღვაწისას, გააადვილებს ქვეყნის სამსახურის საქმეს, შეაჯგუფებს ერთად «თემთა და თემთა» ძალას, გონებრივს ენერგიას, კეთილ-შობილურ გრძნობათა ღელვას; კაცთ-მოყვარეობისა და კაცთა-ნათესავის სამსახურის იდეას ფრთას შეასხავს უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, გონების უსინათლობის ასახოცავად და ჩვენის სიბეჩავის დასათრგუნველად. კაცობრიობის გამოჩენილთ მესვეურთ ნაღვაწი და ნამოქმედარი, უდიდებულეს კაცთა აზრი და გრძნობა, გამოხატული ქაღალდზედ და შეკრებილი ერთად წიგნთ-საკითხავში არა ერთს გაუწმენდავს გონებას, არა ერთს გაამხნევებს სასასპარეზოდ და შთაუდგამს სულს ერისა და მამულის სიყვარულისას.

საუკეთესო ღვიძლ-მწერალთა ნაგრძნობი და ნაჭირნახულევი, ჩვენთა პოეტთა და პუბლიცისტთა ფიქრნი და აზრნი არაერთს პროვინციის მოწინავე კაცს აღუძრავს სურვილს ქვეყნის სამსახურისას, არა ერთს მცონარეს და გაწბილებულს არსებას გარდაჰქმნის მოღვაწედ ქვეყნისა და [illegible].

მოწინავე ქვეყნებში წიგნი ჯადოა, ლიტერატურა გრძნეული ძალაა; ბიბლიოთეკა საუნჯეა, „უძვირფასესი ყოვლისა საქონელისა“ და ამ საუნჯისათვის არაფერი არ იზოგება. მილიონები ჰლირს ამ გვარ ქვეყნებში წიგნთ-საცავნი, მაგრამ ეს დახარჯული მილიონები ათას მილიონობით სიკეთეს ანიჭებენ ქვეყანას, დაუფასებელს კეთილ-დღეობაში აცხოვრებენ ამ ქვეყნებს და ფას-დაუდებელს სულის სიმშვიდესა და სიტკბოებასა სძლევნიან ერსა.

აი ამისათვის ვეგებებით სიხარულით თელავში დაარსებულს წიგნთ-საცავსა და საკითხავს. ეს დაწესებულება ჯერ მცირეა, განუვითარებელი ფესვ-გაუდგმელი, უტრადიციო; ჯერ მას არავინ ჰბაძავს, მაგრამ ამით არა უშავს-რა. ყველა მცირე გაზრდილა, ყველა ახლად—დაწყობილი სასარგებლო საქმე განვითარებულა და თითოეულს სხვა ათასი თავისი გვარი საქმე და დაწესებულება დაუბადნია.

მიგვილოცნია თელავისათვის საუკეთესო ნაბიჯი, გადადგმული წარმატებისა და განვითარებისათვის!

## შინაური ქრონიკა

— ეს არის ეხლა მოგვივიდა „არითმეტიკა სახელმძღვანელოდ სოფლის სასწავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისაგან“. წიგნი წარმოადგენს სრულს არითმეტიკას, შედგენილს ახალს მეთოდაზედ, ესე იგი ამ წიგნის შემწეობით მოსწავლე ჯერ სხვა-და-სხვა რიცხვებზედ მოქმედებას გაიცნობს სისტემატიურად ერთეულიდამ დაწყებული და წესებს კი მხოლოდ შემდეგ. ყოველს ათს რიცხვს და ყოველს წესს საკმაოდ ბევრი ასახსნელები აქვს მოსწავლეთა სავარჯიშოდ, და ამ ასახსნელების გამრავლება ადვილად შეუძლიან თვით მასწავლებელთ, რომელთათვისაც უმთავრესად დანიშნულია ეს წიგნი. რაც შეეხება ტერმინებს, შემადგენელი ამბობს, რომ თითქმის იგივე ტერმინები არიან ნახმარებნი, რომელნიც 1862 წ. ჩემნგან ნათარგმნ არითმეტიკაში იხმარებოდენო. დასასრულ იგი თავმდაბლობით უმატებს წინა-სიტყვაობაში: ჩვენი წადილი ის არის, რომ ამ უღონო შრომით მცირედაც არის შევუმსუბუქოთ სოფლელ მოზარდთ არითმეტიკის სწავლა თავიანთ სამშობლო ენაზედაო.

დიდი მადლობის ღირსია ჩვენის საზოგადოების მხრივ ბ. ყიფიანი ამ გვარი სრული სახელმძღვანელოს შედგენისათვის, მეტადრე იმიტომ, რომ ფასი ამ ლამაზად გამოცემულის კარგა მოზდილი წიგნისა (441 გვერდი) დაუნიშნავს ძალიან მცირე, მხოლოდ 80 კაპ., გაგზავნით 1 მანათი, ასე რომ იქნება სრულის გამოცემის გაყიდვის შემდეგაც ვერ შეივსოს გამომცემელმა ამ წიგნზედ დახარჯული ფული.

— ამ დღეებში ერთ ერთს რკინის გზის სტანციაზედ, ბაქოს ახლო, მოხდა აფეთქება ლოკომოტივისა, რომელმაც ორი კაცი იმსხვერპლა. ამბობენ, ლოკომოტივი სრულიად ახალი იყო და აფეთქების მიზეზად ნავთს ასახელებენ. გამომძიებამ აღმოაჩინაო, რომ როდესაც ლოკომოტივს ნავთით ათბობენ და გახურებული ორთქლი სპილენძსა ხვდება, წარმოსდგება ერთ-გვარი გაზი—წყალბადი (водородъ), რომლის ერთ ადგილას მოგროვება მეტად საშიშია და ხშირადაც აფეთქდება ხოლმე. თუ ეს მართალი გამოდგა, შეწყვეტია, ან ნავთს აღარ იხმარებენ ლოკომოტივებზედ, ან სპილენძის იარაღს დასცვლიან. პირველ შემთხვევაში უფრო მეტი ზარალი მიეცემა ჩვენს ტყეებს, რომელთაც პატარა შეღავათი მოუციდათ იმ გარემოების წყალობით, რომ ბაქოსა და ხაშურის შუა ეხლა შეშის და ნახშირის მაგივრად ნავთსა ხმარობენ.

— ერთს ჩვენს თანამემამულეს თ. სუმბათაშვილს რუსული გაზეთები ხშირად იხსენიებენ. მან გამოიჩინა თავი ორ მხრივ: როგორც ნიჭიერმა აქტიორმა და როგორც შესანიშნავმა დრამატიულმა მწერალმა. მისმა ორმა დრამამ: листья шелестятъ (ფოთლები შრიალებენ) და дочь вѣка (საუკუნის ქალი), დაიმსახურეს რუსული საზოგადოების თანაგრძნობა და სათეატრო კრიტიკების ქება. თ. სუმბათაშვილი ამას არ დასჯერებია და დაუწერია ორი ახალი სათეატრო თხზულება, ერთი კომედია და ერთიც დრამა. აი რასა ვკითხულობთ გაზეთს „Новостъ“-ში ამ პიესების შესახებ: „დრამატიული ცენზურისაგან ამ დღეებში ნება-დართულ იქმნა ახალი ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ქმარი ქალის მენესტრილისა“, თხზ. თავადი სუმბათაშვილისა, ავტორისა“ „ფოთლები შრიალებენ“. როგორც ჩვენ შევიტყეთ, პიესა მდიდარია დიდის მახვილობით, იუმორით და ამასთან შეეხება ერთს ფრიად ცხოველს საგანს ჩვენი დღეებისას. ამას გარდა, ამავე ავტორს გაუთავებია დიდი ტრაგედია, რომლის სიუჟეტი (შინაარსი) აუღია რუსული ისტორიიდგან. ტრაგედიას ჰქვიან: სიყმაწვილე იოანე მრისხანესი (Грознаго), და არკვევს იმ ფსიხოლოგიურს მოტივებსა და გარეგანთ გავლენათა, რომელთაც იოანე მრისხანე ტირანად, მტარვალად გარდააქციეს.

— წლიური აქტი მეორე კლასიკურ გიმნაზიაში მოხდა კვირას, ოქტომბრის 14. აქტის დასაწყისში დირექტორმა ამ გიმნაზიისამ ბ. ლილოვმა წაიკითხა ვრცელი ანგარიში წარსული აკადემიურ წლისა, რომლიდამაცა სჩანს, რომ წარსულს წელს ამ გიმნაზიაში 420 მოსწავლე ყოფილა. მათ შორის 40% რუსები შეადგენდენ, 33% სომხები და მხოლოდ 12% (42 მოსწავლე) ქართველები. თავის ანგარიშში ბ. ლილოვმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება მოსწავლეთა სიღარიბეს, რომელიც მეტის-მეტად ხელს უშლის სწავლის ჯეროვანს წარმატებას და დაწვრილებით

---

ში და ვხედავთ, რომ პირველ გვერდზედ ამ მცენარის წოდება ქართულად მოყვანილია „აბუტარატი, მეხამი“ და სხ. და 81-ს გვერდზედ კი მე-1140 ნომრით ამავე მცენარის წოდება ყოფილა თურმე: «ხარის-ძირა»; ამ «ხარის-ძირას» გვერდზედ ჯვარი უზის; მაშ ნამდვილი ყოფილა! და «აბუტარატს» კი—რგოლი უზის; გარდა ამისა, ლათინური სახელიც ამ მცენარისა არც პირველს გვერდზედ და არც 81-ზე ერთმანერთს სრულებით არ ეთანხმება.

რადგანაც ჩვენ ქართულ მწერლობაში არა გვაქვს ჯერ ბოტანიკური თხზულებანი, არც ბოტანიკური ლექსიკონები და არსად არ არის შეგროვილი, ანუ მოყვანილი ქართული წოდება მცენარეებისა, ვგონებ, რომ უფრო კარგი იქნებოდა, თ. ერისთავს მოეყვანა თავის ლექსიკონში მცენარეთა კლასიფიკაცია, იმათი განყოფილება, [illegible]თი განაწილება, ერთ-წლოვანი მცენარეა, თუ მრავალ-წლოვანი და სხვა და სხვ. ეს იმისთვის, რომ მკითხველს უფრო ადვილად შეეძლო რომელიმე მცენარის გაცნობა, რომ უფრო ადვილად შეეძლო რუსული ბოტანიკური წიგნის ქართულ ენაზედ გადაღება. განვიმეორებთ, რომ ამ გვარად შედგენილი ბოტანიკური ლექსიკონი ჩვენი ქართული ლიტერატურისათვის უფრო მეტს, უდიდესს სარგებლობას მოიტანდა, ვიდრე ეს ლექსიკონი. ამისთანა ლექსიკონს კი ბევრი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან და ჩვენ გვიკვირს კიდეც, რად გამოსცა თ. ერისთავმა ამისთანა წიგნი, სავსე მრავალი ნაკლულევანებით. მაგრამ ამ საყვედურს თავი დავანებოთ და მივუბრუნდეთ იმავ თ. ერისთვის ლექსიკონს.

მე-5-თე გვერდზედ, მე-69-ე ნომრით თ. ერისთავი სწერს, რომ «пшеница яровая», triticum aestivum, ითარგმნება «ახალ-თესლად»; ნუ თუ თ. ერისთავს, როგორც საქართველოს მებატონეს, მამულის პატრონს არა სცოდნია, რომ «пшеница яровая» ქართულად «დიკა» არის და „ახალი თესლი“ კი სულ სხვა რამ მცენარეა. მე-15-ტე გვერდზედ, მე-225 №-რით თ. ერისთავს მოყვანილი აქვს სიტყვა „пшеница яровая“ და იქვე მოჰყავს სიტყვა: „арнаутка“; და „арнаутка“ კი ყოფილა „ახალი თესლი“. თ. ერისთავი ამბობს, რომ „кизилъ“ ქართულად „შინდი“, „შინდი“ არისო—Cornus mascula L.; მაგრამ ამ სახელს გარდა, кизиль крово-красный ლათინურად არის: Cornus sanguinea; ქართულად კი—«არცხვია», «არცხვილი, არცყელი»; თ. ერისთავს ეს წოდება «кизилъ»-ისა სრულებით არა აქვს მოყვანილი. «Клубника», თ. ერისთავს უწერია—„მანერუხი, პურის-ცომა“; გარდა ამ ორის სახელისა, კიდევ ეძახიან—«ბაძლვი». „Лопухъ“—თ. ერისთავი სთარგმნის: „ძირხვენა, ბარდანა, დელხვინი“; მაგრამ ამათ გარდა ჰქვიან კიდევ—„ბურღუელა“. Папоротникъ, თ. ერისთავს ლათინურად უწერია: «Pteris aquilina; მაგრამ ლათინურადა ჰქვიან: „Strutiopteris germanica. ლექსიკონში არ არის მოყვანილი სიტყვა: „медвѣжья груша“, თუმცა კი ამ წიგნში არის: „медвѣжій орѣхъ და медвѣжье ухо“. „медвѣжья груша“ ქართულად არის „დათვისხალა“, ლათინურად კი—Sorbus torminalis, ლექსიკონში ვერ ვიპოვნეთ ვერც რუსულად, ვერც ლათინურად სიტყვა: ელი „азалея“, azalea pontica, ქართულად კი „ელი“ არის მოყვანილი 239 და 350 №№. ლექსიკონში შევხვდა სიტყვა „шишки“ mespilus; germanica L., ზღმარტლი; მაგრამ სწორედ ამ მცენარეს шишки კი არა ჰქვია,—ჰქვიან „мушмула или шиповникъ“. „Черемша, allium ursinum, ლექსიკონში სწერია—„ღანძილი“; ქართულად ამავე მცენარეს ვეძახით: „კორპიოტა“. ლექსიკონში სრულებით ვერ ვიპოვნეთ მცენარე „ლაპანი“, რომელიც ლათინურად არის Ptetocarga fraxinifolia; ვერ ვიპოვეთ მცენარე „держи дерево“ (колючка), რომელიც ქართულად—«ძეძვი» არის; ეს სიტყვა კი თ. ერისთავს მოყვანილი აქვს მცენარე „тегенёкъ“-თან Paliurus aculeatus Lam.

სხვა-და-სხვა ბალახ-ბულახის სახელებიც არა აქვს მოყვანილი თ. ერისთავს, მაგალითად, შემდეგნი: თავხუა, მახობელი ლურჯი და თეთრი; ეს იმისთანა მცენარენი არიან, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსთვალა ის საშუალებანი, რომელთაც ხმარობს საზოგადოება და გიმნაზიის მთავრობა ამ ნაკლულევანების ცოტაც არის თავიდამ ასაცილებლად. ანგარიშიდამ სხვათა შორის შემდეგი სჩანს: ამ სიღარიბეს იმ ხარისხამდე მიუღწევია, რომ რამდენიმე მოსწავლე დაუთხოვნიათ გიმნაზიიდამ არა უსწავლელობისა და უვაკანსიობის გამო, არამედ იმიტომ, რომ სწავლის ფული ვერსაიდან მოუხერხებიათ.

== ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალ 1885 წლისათვის ამზადებენ დიდის და ვრცელის კალენდრის გამოცემას ქართულს ენაზე. ჩვენში დღევანდლამდე ერთი რიგიანი კალენდარი არ არსებობს. თითო-ოროლანი, რომელნიც აქამომდე გამოდიოდენ, კუდიანი ვარსკვლავივით გამოჩნდებოდენ ხოლმე ერთს რომელსამე წელიწადს და მერე ისევ შარშანდელი თოვლივით ჰქრებოდენ. ამ გვარი იყო, მაგალითად, კალენდარი ბ. ღიაძისა, რომელიც მხოლოდ ერთხელ გამოვიდა. 1875 წლისთვის ჩვენმა გაზეთის რედაქციამაც გამოსცა, მაგრამ შემდეგს წლებში აღარ განუგრძელებია ამ სასარგებლო წიგნის ბეჭვდა. კალენდარი ყველა განათლებულ ქვეყნებში დიდს საჭიროებას შეადგენს, რადგან შეიცავს მრავალ სხვა-და-სხვა ცნობას, აუცილებლად საჭიროს და ცხოვრებაში გამოსაყენებელს. სირცხვილი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ დღემდე ერთი რიგიანი, ვრცელი კალენდარი არა გვქონდეს, ისეთი კალენდარი, რომელიც ყოველ-წლივ გამოდიოდეს სისტემატიურად და შესდგებოდეს ჩვენის ქვეყნის საჭიროების მცოდნე პირთაგან. ნუ თუ ეს ისე ძნელია, რომ განათლებულსა და განვითარებულს კაცს გაუჭირდეს? თვით საკალენდრო ცნობანი ხომ რუსულ კალენდრებშიაც მოიპოვებიან და ამაზე შრომა სრულიად საჭირო არ იქნება, რადგანაც რუსული კალენდრები ოთხისა და ხუთის თვით ადრე გამოდიან და ვრცელდებიან ხალხში, ვიდრე დადგებოდეს ის წელიწადი, რომელსაც იგინი შეეხებიან. სუვორინის კალენდარი 1885 წლისათვის დღეს უკვე მიღებულია თბილისში და ყველგან იყიდება. მაშასადამე, ქართულის კალენდრის შემდგენელს ერთიორად გაუადვილდება შრომა შედგენისა. მას დარჩება მხოლოდ ის ნაწილი შეადგინოს, რომელიც უნდა შეეხებოდეს ჩვენს ცხოვრებას, რომელიც უნდა შეიცავდეს საჭირო ცნობებს საკუთრად ჩვენის ცხოვრებიდამ. კალენდრის საჭირო კუთვნილებას შეადგენს აგრეთვე ლიტერატურული ნაწილი, რომელიც უნდა სხვა-და-სხვა მხრით ჰხატავდეს ჩვენის ქვეყნის აწინდელს, და თუ გნებავთ, უწინდელს მდგომარეობასაც. ამ ორის ნაწილის შედგენა, როგორც ვსთქვით, ისე ძნელი არ არის, რომ გაუჭირდეს განვითარებულს კაცს, თუ მეტადრე მან დაიხმარა ჩვენი საუკეთესო მწერალნი: თუ ექიმს გამოართვა წერილი ჩვენის ქვეყნის ჰიგიენურ და სამედიცინო მდგომარეობაზედ, თუ პედაგოგს მოსთხოვა — ცნობანი სახალხო განათლების შესახებ, ისტორიის მცოდნეს — წარსულის შესახებ, პოეტს ლექსი და ბელეტრისტს მოთხრობა რამ და სხვ. და სხვ. მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შრომა არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, არც ისე სახელდახელოდ გამოცხობა შეიძლება რიგიანის და სასარგებლო კალენდრისა, რომ ამ სამსა და ორს თვეში შეიძლებოდეს მოსწრება.

ხოლო ეს საქმე ემართებათ სწორედ იმათ, ვინც მხოლოდ მაშინ დაიწყობს ხოლმე ზრუნვას ქართულის კალენდრის შედგენაზედ, როცა დაინახავს რუსულად დაბეჭდილს კალენდარს და ჰზრახავს გულსა შინა თვისსა: ამ რუსულს კალენდარს გადავთარგმნი, ცოტაოდენს რასმე ჩვენის ცხოვრებიდამ მოვუმატებ და გამოცხვება კალენდარიო.

რაც შეეხება თვით კალენდრის მოთხოვნილებას, უნდა ვსთქვათ, რომ ეს მოთხოვნილება ძრიელ დიდია ხალხსა და საზოგადოებაში. იქნება, პირველად ისე ვერ გავრცელდეს ამ გვარი წიგნი, მაგრამ შემდეგს წლებში უთუოდ ღირსეულად დააჯილდოვებს თავის შემადგენელს.

# ტელეგრამები

«ჩვენის კორესპონდენტისაგან».

ბათუმი. ოქტომბრის 14-ს, დილის 10 საათი. გუშინ სამხედრო სასამართლომ გადასწყვიტა საქმე წარსულ მარტში ქობულეთის სტანციის ახლო ჟანდარმის მოკვლისა. ერთს ბრალდებულს ჩამოღრჩობა გადაუწყვიტეს; მეორეს 10 წლით კატორგაში გაგზავნა. სამი ბრალდებული, რომელთაც მკვლელების დამალვასა სწამებდენ, გაამართლეს.

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

ოქტომბრის 12-ს

პეტერბურგი. ,,ბირჟის უწყებანი'' იწერებიან, რომ ტაშკენთის ვაჭარი გრომოვი ცდილობს შუა-აზიის რკინის გზის კონცესიის მიღებას ეს გზა უნდა დაიწყოს ყიზილ-არვატიდგან, მერვზე და სამარყანდზე გაიაროს და ტაშკენთში შევიდეს; გრომოვი თხოულობს, რომ იმიერ-კასპიის გზაც იმ აქციონერს საზოგადოებას გადაეცეს, რომლის დაარსებაც მასა სწადიან. გრომოვი ჰპირდება, რომ სამს წელიწადს გაათავებს გზას და მხედველობაში განსაკუთრებით სამხედრო საჭიროებანი ექმნება.

მოსკოვი. ,,მ. ბორისოვსკის შვილებითურთ'' ფირმის კონება $3^{1}/_{2}$ მილიონით აღემატება ვალსა; ადმინისტრაცია მარტო იმისათვის წესდდება, რომ კრედიტორებმა თავის რიგზე ჩაიბარონ ხვედრი ფული.

ოდესა. უნივერსიტეტში ახალი წესდების ხმარება დაიწყეს.

ბერლინი. კუმბერლანდის ჰერცოგი სწერს გერმანიის იმპერატორს, რომ მან იტვირთა ბრაუნშვეიგის გამგეობა იმ კანონის ძალით, რომელიც არსებობს ტახტის-მემკვიდრეობის შესახებ, და იმედი აქვს დაიმკვიდროს ის უფლება იმპერატორისა, რომელიცა ჰქონდა დამსახურებულ განსვენებულს ჰერცოგს.

ოქტომბრის 12 ტელეგრამაში შეცდომა შეპარულა: სახელმწიფო დამნაშავეთა რიცხვში მოხსენებულია აზნაური ფიგნერი, — ამის მაგიერ უნდა იყოს: აზნაურის-ქალი ფიგნერისა.

ოქტომბრის 14-ს.

პეტერბურგი. რამდენიმე ბანკირმა პეტერბურგის მავალებელ (უჩოტნი) ბანკის მოთავეობით შეიძინა აქციები რუსეთის რკინისგზების მთავარი საზოგადოების მთავარი აქციონერი უაინენსისაგან.

მალე დაიწყობა ნავოსნობის განახლება არალის ზღვაზე; ორი კომპანია წესდდება: ერთი იქნება გრომოვის მოთავეობით და იმოქმედებს სირ-დარიაზე და არალის ზღვაზედ; ხოლო მეორე იქნება კნოპისა და კონშინის მეთაურობით და იმოქმედებს ამუ-დარიაზედ; თვითეულს კომპანიას წელიწადში 50,000 მან. სუბსიდია ეძლევა; პირველი კომპანია იძენს არალის ფლოტილიას, ხოლო მეორემ

---

ნიც ყოველთვის ყანაში მოინახებიან. ლექსიკონში სრულებით ვერა ვნახეთ სხვა-და-სხვა სოკოს სახელები; მაგალითად, შემდეგნი: «ბაბილო, ბაწარა, გუგული სოკო, თოხი-ტარა, კატა მჯღავანა, მიქლიო, მჯღავანა, მჭადო, სოკო-შავა, სოკო წითელა (царскій грибъ) ცხვარიო, ფიჭვნარა, ღვინიო, წერეწო, შავ-ჩოხა, ვარყა, ცისფერა, ხიხილო, წყერიო, ქბილიო, ხრიტუჩა, ქათამ-ბარკალა, ხარი-ფაშა, ბებერა-სოკო, თხილი-სოკო, და სხვა კიდევ რამდენიმე სოკოს სახელი, რომელიც იჭმევა.

ახლა ამ სოკოებს დავანებოთ თავი და გადავიდეთ იმ ბალახებზე, რომელთაც ჩვენი ხალხი საჭმლადა ხმარობს და რომელსაც საზოგადოთ ვეძახით — „მხალი". აი ის სახელები მხლისა, რომელნიც თ. ერისთავს ალბად დაავიწყდა: „გოჭიწელა, გიორგელა, დედაბრიკონკა, დათვის მოლიქა, დედაფუფყარა, ერბო-ქილა, მამლიყივილა, ფირისუნა, ქათმის-ქონა, შავ-მხალა, ხვართქლა, სუქანა, ძროხი-ენა, მატიტელა.

წინასიტყვაობაში თავადი რაფიელ ერისთავი ამბობს, რომ ჩემი ლექსიკონის შესადგენად, მასალებად ესა და ეს წიგნები და თხზულებები მქონდაო: სხვათა-შორის ამბობს საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონზედაც; ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ რომ ეს საბა-ორბელიანის ლექსიკონიც, თავად რაფ. ერისთვის რედაქტორობით არის დაბეჭდილი; მაშასადამე თვითონ უნდა ჰქონდეს მთელი ლექსიკონი საბასი წაკითხული და გადაკითხული. ამ ორივე ლექსიკონის შესადარებლად, ჩვენ განგებ ამოვსწერეთ საბა-სულხან-ორბელიანის ლექსიკონიდამ ყველა სიტყვები შესახებ მცენარეებისა და ცხოველებისაც. მცენარის სახელები საბა ორბელიანის ლექსიკონში მოყვანილია 790; და თავადი რაფიელ ერისთვის ლექსიკონში კი ეს სახელები 1204 არის; ორბელიანის სიტყვები თ. ერისთავის წიგნში ჩვენა ვნახეთ მხოლოდ 685 სიტყვა, ასე რომ თ. ერისთავმა არ მიიღო ორბელიანის 105 სიტყვა, რომელიც მცენარის სახელი არის ქართულად; და რატომ არ მოიყვანა თ. ერისთავმა ეს-ას ხუთი სიტყვა, გვიკვირს. აქ მოვიყვანდით ამ ას ხუთ სიტყვასაც, მაგრამ ეს ჩვენი წერილი მეტად გრძელდება და სივრცის მომატება არ ივარგებს; მაგალითისათვის კი შეიძლება მოვიყვანოთ ათიოდე სიტყვა ორბელიანისა, რომელნიც თ. ერისთავს არ უწერია: «ჰადარი, ჰაუკა, წეროს-თავი, ჭყიმი, რვილი, როდი, საბწინი, საჯი, კლიმი, კურკანტელი, ნაძვი, ვალსამოს, ვარდ-კანაფა და სხვა.

დავანებოთ თავი ბოტანიკურ სიტყვებს და გადავათვალიეროთ ზოოლოგიური ტერმინები თ. ერისთვისა. ცხოველთა ლექსიკონში უწერია სულ 489 სიტყვა და საბა ორბელიანს, კი 608 სიტყვა. მეტად გვიკვირს, რომ ერისთავს ორბელიანის ლექსიკონი მასალადა ჰქონია და არ ამოუწერია ის სახელები, რომელნიც იმის ლექსიკონს აკლია. ზასაკვირველი კიდევ ის არის, რომ საბა ორბელიანს არა აქვს მოყვანილი იმ ცხოველების სახელები, რომელთაც ჩვენ ყოველნი თითქმის ყოველ დღე ვხედავთ; მაგალითად: „ცხენი, ცხვარი, ძროხა, წიწილა, ხარი, ჯეირანი, ერკემალი, მერანი, შიშაქი" და კიდევ 23 ცხოველის სახელები. თ. ერისთავს კიდევ არა აქვს მოყვანილი თავის წიგნში შემდეგი სიტყვები: „კვერნა, პეპელი, ტახი, ფუმფლა, აფთარი, ბოლო-ბეჭედა, ვარია და ამათ გარდა კიდევ 131 სიტყვა აკლია. ეს 131 სიტყვაც რომ მოგვეყვანა ამ ჩვენს სტატიაში, მეტი იქნებოდა.

აი ეს ნაკლულევანება აქვს თავადი რაფიელ თ. ერისთავის ლექსიკონს და, ვგონებთ, რომ ამისთანა ნაკლულევანებით სავსე წიგნი ვერ შეესაბამება თავის დანიშნულებას და ვერავისთვის ვერ იქნება გამოსადეგი სახმარებელი. როდესაც ერისთავი თავისს წიგნს შეასწორებს და შეავსებს დავიწყებული სიტყვებით, მაშინ და მხოლოდ მაშინ ეღირება ორი მანეთი და ღირსიც იქნება, რომ ყოველმა ქართველმა შეიძინოს და საკუთრებად იქონიოს.

სანინელი.

შვეციაში და ბელგიაში შეუკვეთა გემები; ამ-დარიის კომპანიამ უკვე 1,800,000 მან. ბე წარადგინა.

**კიევი.** გუშინ გათავდა სვირიდოვის საქმის ხელ-მეორედ განხილვა; ნაფიცმა მსაჯულებმა აღიარეს სვირიდოვის დამნაშავობა ქალაქის საზოგადოების საურთიერთო კრედიტის ფულების შემოხარჯვაში, დამტკიცებულად იცნეს ეგრეთვე კიევის სამესიკო საზოგადოების ფულების შემოხარჯვა, მაგრამ უკანასკნელს დანაშაულში სვირიდოვი უბრალოდ დაინახეს; ქალი ავგუსტოვიჩის ფულების შემოხარჯვა დამტკიცებულად არ იცნეს და უპასუხოდ დასტოვეს ის კითხვები, რომელნიც შეეხებოდენ სვირიდოვის დანაშაულობას ამ ფულების შემოხარჯვაში. სვირიდოვს გადაუწყვიტეს ზოგიერთა უფლებათა ჩამოხდა და 15 წლით ტობოლის გუბერნიაში გაგზავნა. ამ საქმის გარჩევაზე იუსტიციის მინისტრი დაესწრო.

**პეტერბურგი.** მმართებლობის უწყების დამატებაში იმ უწესოებათა შესახებ, რომელნიც მოსკოვში მოხდენ ოქტომბრის 2-ს, ნათქვამია: პოლიციამ წინადღითვე იცოდა, რომ უწესოება მზადდებოდა; ობერ-პოლიციმეისტერმა მოახსენა ეს ამბავი გენერალ-გუბერნატორს, რომელმაც თავის მხრივ იპოვნა მიღებული ქაღალდთა შორის წერილი ამ გვარივე უწყებით; გენერალ-გუბერნატორმა უბძანა შესაფერ განკარგულებათა მოხდენა და მისწერა ჯარების კომანდირს, რომ რამდენიმე ნაწილი ჯარისა მზადა ჰყოლოდა. იმ პროკლამაციების გარდა, რომელნიც უნივერსიტეტში ჰყვნენ გან-ფანტულნი, უპოვნიათ კიდევ დატესალებული სტუდენტების ფონდერ-ბლინკენის, შევჩუკის და გრინევეცკის სადგურებში ერთის პროკლამაციის დედანი და წერილია იმ მელნით, რომელსაც ხმარობენ ჰექტოგრაფისთვის; სხვა ნივთთა შორის, რომელნიც საღამოს ყრილობაზედ გადაეყარათ, ერთი რევოლვერიც იყო. საქმის მრჩეველ კომისიას ჯერ კიდევ ვერ გამოუკვლევია — ვინ იყო ყრილობის მოთავედ.

ოქტომბრის 15-ს.

**პარიჟი.** ხმები ფრანცუზების შევიწროებულ მდგომარეობაზედ ტონკინში მტყუნდება მთავარსარსარდლის დეპეშით, რომლიდამაცა სჩანს, რომ წითელი მდინარის მხრივ სასიში არაფერია. არა მტკიცდება აგრეთვე ხმა, ვითომც ჩინელები გარს შემორტყმოდენ ხონ-პოას ფრანცუზების მარცხენა ფრთედისკენ.

**ბრიუსელი.** ხელმწიფემ მიიღო და დაამტკიცა მალუს სამინისტროსი დათხოვნის ქაღალდი, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ სასოფლო საზოგადოებათა არჩევანში ლიბერალებმა გაიმარჯვეს. გუშინ გამოცხადდა ოფიციალური სია ახალი კაბინეტის წევრთა, რომლიდამაცა სჩანს, რომ ახალი მინისტრი პრეზინდენტი ბერნაერტი, და თითქმის ყველა სხვა მინისტრებიც ეკუთვნიან ზომიერ კონსერვატიულს პარტიას, რომელსაცა სწადიან ერთმანერთთან მორიგება კონსერვატივებისა და ლიბერალებისა.

## განცხადებანი

დაგვეკარგა მოკლე გასაღები გოლოვინის პროსპექტზედ. 5 მან. მიეცემა მას, ვინც იპოვის და შავერდოვის საგენტოში მოიტანს. (3—3)

**ნერსესიან-სომხების სასულიერო სემინარიის სამზრუნველო საბჭოში,** ამ ოქტომბრის 17-ს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია ხელ-მეორედ ვაჭრობა (განუმეორებლად) 21 დუქნის იჯარით მისაცემად. ეს დუქნები ეკუთვნის სემინარიას და გვერდზედ აქვთ ფიცრულის შენობანიც, გამოსადეგნი სამჭედლოს გასამართავად. დუქნები იმყოფება ნერსესიან სემინარიის ძველის შენობის ყურ-და-პირ. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება

**ელისო**

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან

თხზულება

ა. მ. ყაზბეგისა.

ფასი 25 კაპ.

ისყიდება თბილისში: გრიშუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სათეატრო კასაში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა ამავე ავტორის თხზულებანი:

**ელგუჯა**, ისტორიული მოთხრობა. **არსენა**, დრამა 3-ს მოქმედებად. **დილა ქორწილის შემდეგ**, კომ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანის" პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—2)

### თბილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ქვემოხსენებული პირების უძრავნი ქონებანი, გირაოდ მიღებულნი ბანკისაგან, აღნიშნულნი არიან ბანკის § 14 თანახმად საჯაროდ გასასყიდლად, ამავე ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შემოუტანელობისთვის. გაყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ხვედრს გადასახდელს შემოიტანენ.

კაპანაძე, ანდრია ივ-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველიფე მოწყობილობით 60 ოთხ. კუთ. საჟენი მიწით; ქ. თბილისს, 1 განყოფილებაში, 3 ნაწილში № 271.

ოსიპოვი, ლალო კონიას-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და 68 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფ. მე-5 ნაწილში.

გაბაშვილი, ალექსანდრე ზაქარიას-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ფლიგელით და ორ-სართულიანი მიშენებული სახლი, 160 ოთხ კუთხი საჟ. მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზე.

ოქროევისა, ეკატერინე არტემას-ასული. ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი 76 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 5 ნაწილში, № 299.

გოქსაძე, ეკატერინე დიმიტრის-ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყველა მოწყობილობით და 166 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. 1 განყოფილებაში, პირველ ნაწილში, ქ. თბილისში.

ყორღანოვი, გრიგოლ იაკობის-ძე: ორ-სართულიანი სახლი $54\frac{65}{100}$ ოთხ-კუთხი საჟენით მიწით. ქ. თბილისში 1 განყოფილებაში 5 ნაწილში.

ტერ-მიკირტიჩიანც, მარტიროს ნიკიტას-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით $634\frac{1}{2}$ ოთხ-კუთ. საჟ. მიწით; ქ. თბილისს, 2 განყოფ. 12 ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩაზე.

ბურდულოვი, ალექსანდრე სოლომონის-ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სასტუმრო ეზოთი და დუქნებით 600 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, რომელიც ამ შენობებს უჭირავს; თბილისის, 2 განყოფილებაში, 12 ნაწილში.

ერისთავისა, ილიკა დიმიტრის-ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და სახილე ბაღი. მიწის ზომა 500 ოთხ-კუთხი საჟ. ქ გორში.

ალენიკოვისა, სალომე იაგორას ასული. ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ორ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელი 88 ოთხ-კუთხი საჟენი და $1\frac{1}{2}$ არშინი მიწით: ქ. თბილისში, 1 განყ., 1 ნაწილში, დავითის ქუჩაზე.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს-ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვის დუქანი ბალახონით ბ) ორი სამ-სართულიანი დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვის დუქნები და გ) თერთმეტი თითო-სართულიანი ქვისქ დუქანი 276 ოთხ-კუთხი საჟენი ქ. თბილისში ა) მეშვიდე ნაწილში და ბ) მე-14 ნაწილში მე-2 განყოფილებაში.

მირიმანოვი, დავით იაკობის-ძე. სამ-სართულიანი ქვით-კირის სახლი, ორ-სართულიანი ქვითკირის ფლიგელით $111\frac{1}{2}$ ოთხკ. საჟენი მიწით; ქალ. თბილისში, ელისაბედის ქუჩაზე, 2 განყოფილებაში, მე-11 ნაწილში.

წერეთლაშვილი, გრიგოლ დავითის-ძე: ერთ სართულიანი ქვით-კირის სახლი ბაღით და 4 დესეტინა მიწით, ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებ. მე-16 ნაწილ. ნავთლუღში.

ერისთავი, ალექსანდრე პავლეს-ძე: წისქვილი და სადგური 5610 ოთხ-კუთ საჟ. მიწა ქ. გორში.

გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანი მიშენებულით და 125 ოთხ-კუთხი საჟენიმიწით ქ. გორში.

ჭავჭავაძე, გიორგი მელქისედეკის-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 2100 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თელავში.

ტეხმინცევი, აკოფ მიკირტუმას-ძე: ორ სართულიანი სახლი ერთ-სართულიანი შენობით და 370 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. ახალციხეში.

პაპაჯანოვისა, ელისაბედ გრიგოლის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 72 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-5 ნაწილი, ნემეცების ქუჩაზე.

მირიმანოვისა, მარიამ იაკობის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანოები 168 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. გორში.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს-ძე. ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორი ფლიგელით და შენობით, მიწის ზომა $321\frac{2}{3}$ ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. თბილისში, 1 განყ., 1 ნაწილში. ოლგას ქუჩაზე.

ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს-ძე. 1) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანი ფლიგელით თავის სარდაფით და ორ-სართულიანი სამოსამსახუროთი, და 2) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწის ზომა 704 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში, 1 განყ., მე-4 ნაწილ., ველიამინოვის ქუჩაზე.

ტერ-შმოვანოვი, ნიკოლოოზ ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, ყველა თავის მოწყობილობით და 87 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფა. მე-6 ნაწილში, მოლნინისა და ბებუთოვის ქუჩაზე.

ორლოვსკისა, სალომე იაგორის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანი ფლიგელით, სარდაფებით, ბაღჩით და სარწყავით —მიწის ზომა 160 ოთხ-კუთხი საჟ. და არშინი. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში.

ბაგრატიონ-მუხრანსკი, ივანე კონსტანტინეს-ძე; სამსართულიანი ქვითკირის სახლი (სლინკოსეული). ფლიგელით და შენობით, მიწა $313\frac{3}{4}$ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თბილისში, 1 განყოფ., მიხაილოვის ნაწილში.

ვახვახოვი, ათანასე ლიპარტის-ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთი, 103 საჟენი და 3 ოთხ-კუთხი არშინი მიწით; ქ. თელავში.

(იხილე მე-5-ე გვერდი).